

სიუნი

იანვარი

1931 წ.

№ 3

წელიწადი

ფასი 10 კაპ.



1905 წ. გენერალური რევოლუცია იყო...

ნახ. ღონის.

(იხ. 89-16 გვერდი)



Handwritten notes in blue ink, including the number '357' and some illegible text.

ნიანგის მოგონება*)

ცხრაას ხუთი წლის რევოლუცი-
ამ თავზარი დასცა, როგორც რუსე-
თის, ისე ყველა ქვეყნის მხეცებს,
რომლებიც იმ დროს კბილების ღრქე
ნით დაძრწოდნენ დედა - მიწის ზურ-
გზე.

შეცდომაა, თითქოს შეკავშირების
მიდრეკილება მხოლოდ ადამიანთა
თვისებას შეადგენდეს. ცნობილია,
რომ ცხოველებში ასეთი მიდრეკილე-
ბა არა ნაკლებია, ვიდრე ადამიანებ-
ში. მაგალ., ჩემს სამშობლოში არიან
ისეთი ორფეხა ქვეწარმევალნი, რომ-
ლებიც მუდამ ერთად ცხოვრობენ,
ერთად არიან „ჭირში და ღვინაში“,
ერთად ნადირობენ ადამიანებზე და
ერთად იცავენ თავს მტრებისაგან.
არიან ისეთი ქვეწარმევალნი, რომე-
ლთაც სამშობლო არა აქვთ, ისინი
ყველგან არიან, როგორც ცივ, ისე

თბილ ქვეყნებში. მათი სახელია ბურ-
ულები.

1905 წელი განსაკუთრებით ამ ქვე-
წარმევალთათვის იყო თავზარდამ-
ცემი, მათ შორისაც არის საერთო ინ-
ტერესი, ისინიც გრძნობენ თავდაც-
ვის ინსტიქტით გაერთიანებისა და
ერთმანეთშორის ქვეწარმევალთა
კანონების აუცილებლობას. ეს იქიდანაც
ჩანს, რომ ისეთი ცხოველები როგო-
რიც არის პოლიციელები, აარსებენ
საერთაშორისო ინტერნაციონალს.

და, აი 905 წლის რევოლუციით და-
მფრთხალნი რუსეთის მხეცები აყ-
რუებდნენ ქვეყნიერებას ღრიალით და
მოუწოდებდნენ ყველა ქვეყნის ცხო-
ველებს დახმარებისათვის.

— გვიშველეთ, ვილუბებით, ადა-
მიანები დაგვესხენ და გვანადგურე-
ბენი. მართალი გითხრათ, მაინც
ქვეწარმევალ ბურჟუების განადგუ-
რება ჩვენ, ნიანგებს, არ გვაწუხებდა,
რადგან ჩვენ ერთად ერთი საარსე-
ბო სწორედ ეს ცხოველები არიან,
თუმცა მათი ხორცი უგემურია.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც გა-
მოვემუშურეთ 905-ში რუსეთისაკენ
არა ადამიანების წინააღმდეგ საბრ-
ძოლველად, არამედ იმისათვის, რომ
ბურჟუები გაგვენადგურებია...

ჩვენ და ადამიანები ერთმანეთს შე-
ვეჩვიეთ და დავმეგობრდით... ჩვენ,
ნიანგებს, ადამიანები „მძიმე არტი-
ლერიით“ გვიყენებდნენ 905 წლის
ბრძოლებში...

დამარცხდა რევოლუცია. დადგა
საშინელი რეაქცია. ბურჟუები შურს
იძიებდნენ ადამიანებზე. ჩვენც არ
გვაკლებდნენ ხელს. შევჩვი ჩვენთან
დაბრუნდა ცხელ ქვეყნებში. ვინც
დავჩვი, გავხვიეთ ქვიშებში და
შლამებში. ასე ვიყავით 1917 წლის
ოქტომბრის რევოლუციამდე, სანამ
ისევე ადამიანებმა არ გაიმარჯვეს.
ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ
ჩვენ თბილ ქვეყნებში არ დავბრუნე-
ბულვართ და ადამიანებთან ერთად
ორფეხა ქვეწარმევალთა წინააღმდეგ
განვაგრძობთ ბრძოლას.

ყუმბარა

*) ამ დღეებში ჩვენი რედაქც. თანამშრო-
მლებმა გამართეს მოედნების საღამო 905
წლის რევოლუციის შესახებ. საღამოზე
ამხანაგმა ნიანგმა სიტყვა წარმოთქვა, რომ
შლიდანაც მოგვყავს ადგილი, რომელიც
შეეხება მის მოგონებას 905 წელზე.

ნიანგელთა სრულიად საპარტიოელთა შიკრიბა

სენეოგრაფიული ანგარიში

2

შეკრება დაჯდომით იხსენიებს „ტარტა-
როზის“ სლოგანს. სტენოგრაფისტები
ცრემლებს ვეღარ იმაგრებენ.

ნიანგი (ლაპარაკობს ნიანგურად): — ჩე-
მი მოსწონება დამთავრებულია. სიტყვა იკუ-
თვნის ს. თ.—ის.

ს. თ.—ა: მე ვფიქრობ და თქვენც უნ-
და იფიქროთ, ალბათ აქამდეც ფიქრობდით
და თუ არ გიფიქრიათ, უნდა გეფიქრიათ,
რომ საბჭოები პროლეტარიატის დიქტა-
ტურის ძირითადი ორგანოებია. უნდა გადა-
ვახალისოთ და ორ ფრონტზე ბრძოლით
დავაყენოთ პირით სოფლის სოციალისტურ-
ად გადახალისებისაკენ. ვინ არის წინააღ-
მდეგი?

ყუმბარა (გავარდნა):—ახლა მაგას ვფი-
ქრობდი სწორედ. ბრძოლა ორ ფრონტზე
სირველხარისხოვანი ამოცანაა...

ონისიმე:—ფრონტი თუ სადმეა, მე გამი-
შვით, ისეთი შეუღლია, რომ ბღღვირი ავა-
დინო. რას ქვია ოპორტუნისტობა! ჩვენ
ვართ მედგარი, როგორც ფოლადი!

მედუზა:—მართლა, ახლა ფოლადის შე-
გროვება რომ მიდის, არ გამოგვჩრჩეს „ნი-
ანგში“. მე მაქვს ფოლადის ნატეხები, სტუ-
ძრებმა კრატი დამიმტვრეს...

ხევერ-ბენ-შეიხი (უცებ გაიღვიძებს):—
ფოლაქი? ვინ ამაწყვიტა ფოლაქი? რაიზა
მიქენით აი საშინელი ამბავი!

იესელი:—ფოლაქი კი არა, ფოლადის
ნატეხების შეგროვების კამპანიაა, ერთი წე-
რილი უნდა დამოწერო.

თავმჯდომარე:—დაანებეთ ფოლაქებს
თავი, თემაზე ილაპარაკეთ.

ტერზიტ:—თემა! მართლა კაცო, ფელე-
ტონის დაწერა მინდა, თემა ხომ არ გაქვს
ვინმეს? ნუ დამიძლიავთ...

ივანია:—საბჭოები, ამხანაგებო, უნდა
შეგავსოთ მოჯამაგირებით, მე თითონ „მო-
ჯამაგირის ხმაში“ ვმუშაობ ზაფხობიდან.

დონი (გამოაფიხლდება):—მოჯამაგი-

რის ხმაში“. იქ ჰონორარი მაქვს ასაღები.
მომეცია თუ ძმა ხარ, ნუ მაწვალებ!

ტოქსინი:—მე იმას ვამბობდი, რომ საბ-
ჭოები ძირფესვიანად უნდა გადავახლი-
სოთ: პირველი ამოცანაა საბჭოები შევავ-
სოთ დამკვერლებით, კოლმეურნეებით, მო-
ჯამაგირებით, ღარიბ გლეხობით, საშუა-
ლო გლეხობით, მშრომელი ინტელიგენ-
ციით, ინჟინერ-აგრონომ-მასწავლებლებით,
ამისთანაობით, იმისთანაობით...

ალლარ-ალლარსან (წამოხტება):—სტოპ!
სტოპ! შეაჩერეთ, თორემ რაც ხალხია,
ყველას შევრის საბჭოებში. კაცო, აღნიშნე
გარკვევით, ვინ გინდა აირჩიო?

იზოლი:—შეხედეთ ჩემს სიობლეს და
ამირჩიეთ.

ნან. ქოქიაშვილის



საქ.

— რა დამართია, კაცო, რომ ტა-
ნზე ასე შემოგხვია?!
— არაფერი, ტრამვიდან ჩამოვხტი

ქნელ-ოლი:—ვიცინებები კარგია საერთოდ
დიდატო! „ლეინოხილკავშირში“ ჩემსავით
კაცი ვერ სწერს.

ნადარ:—რომ დავახსიათოთ, ესე იგი
დავასურათხატოთ საბჭოების მუშაობა,
კარტინკასავით წარმოგადგებთ ზოგიერთ
სოფლის საბჭოს კარიკატურული საჭიანო-
ბა. ეს ხდება იმიტომ...

დონი (განაგრძობს ნადარის სიტყვას):—
ხდება იმიტომ, რომ სოფლად არ არიან
ჩვენისთანა მხატვრები, ამიტომ მომეცით
მე რკ. გზის მუღმივი ბილეთი, კი ტანი,
კი ფეხი, კი ცხენი და უნაგირი და ვიგ-
ლი სოფელ-სოფელ. ისეთ კარიკატურებს
გამოგზავნი, რომ ორი ორს ეკითხნობო-
დეს...

ხლისტი:—ვიგლინებები კარგია საერთოდ
წაველა და ოხმან-ალა:—დაზოგვა კიდევ
უკეთესია!

თავ-რე:—დაზოგვის ერთთვიური ფრიალ
საყურადღებოა.

ს. თ.—ა:—დაზოგვა, ამხანაგებო, უნდა
დაუკავშიროთ სახრობას, რომ მობილიზაციას,
ხოლო მობილიზებული თანხები უნდა შე-
ვაშველოთ ჩვენს აღმშენებლობას.

ყუმბარა:—და თავდაცვის განმტკიცე-
ბას!

მედუზა:—და საწვინგემის შესოულე-
ბას!

ყუმბარა:—ვაცხადებ თავს დამკვერელად!
ს. თ.—ა:—მე ხომ დამკვერელი ვარ ცხრაას
ორიდან.


ონისიმე:—მოვიღევი გვერდში!
თარსი:—ე ბიჭო, მე ვარ დამკვერელიც და
გამსვლელიც ბრიგადაც!

მთელი შეკრება დამკვერელად აცხადებს
თავს და სდებს პირობას, რომ მთელი ძალ-
ლონით იბრძოდეს ხუთწლიდის ოთხ წელ-
ში შესასრულებლად და მასთან დაკავში-
რებულ ყველა საკითხების მოსაგვარებ-
ლად. ალლარ-ალლარსან.

„სამეგობრო-მართლმადიდებელი“

ნახ. რეკლამის.

„საგაზაფხულო თვისის დროს გლეხობის 30 პროცენტი უნდა გაერთიანდეს კოლმეურნეობებში“.



ნიანგო-რთა ნაკაზი ნიანგს

შივიკრიბეთ რა ერთად დავადგინეთ ერთხმად: „ნიანგს“, ჩვენს ხელმძღვანელს უხადოს, ჩვენს მიერ დეკრეტულად არჩეულს უყადოთ, შემდეგი რამ დავავალოთ და მივანდოთ:

1. თანახმად მისი სურვალსა და ნებისა, ყველას კაბინეტში, „მიუხედავად პიროვნებისა“.

„ნიანგს“ უფლება აქვს დაუპატიუებლად შებრძანებისა და საკბილოს არჩევისა, თანახმად მისი გემოვნებისა.

2. „ნიანგს“ არ უნდა გამოჩინდეს არც ერთი მავნებლის ბუნაგი, დაერიოს მათ, როგორც „ხუნაგი“ უნდა დაბდღენას თავის ღინგით მტერი მსუნაგი.

3. განა საჭიროა განვმარტოთ, რომ „ნიანგი“ ბრძოლაში არ არის მართალი? მტერმა, რამდენი მახეც არ დააგოს, შეუძლებელია თავი რომ არ წააგოს, რადგან „ნიანგი“ ყველგან აწყობს თავის საგუშაგოს, რომელმაც მის წინაშე პასუხი უნდა აგოს და ყველა მავნებლები და ბიუროკრატები მამფურზე წამოაგოს.

4. „ნიანგმა“ არ იცის მოთმენა; მისი საქმეა კბენა, ყველა, ვიც ახალმა ცხოვრებამ გადააშენა: ოპორტუნისტი, ზოგი „მარცხენა“, „მარჯვენა“ და „დეურუშნიკი“

გრძელი რომ აქვს ენა და ტკბილი სიტყვით, რომ უნდა ჩვენს რიგებში შემოძვრენა, — „ნიანგმა“ უნდა შემოუსროს, დაოკარგოს აზრი, უიარაღო და სმენა.

5. უნდა დაგვეთანხმობთ ამაში, რომ „ნიანგმა“ უნდა ალაგმოს კულაკების, ნეპმანების და მღვდლების პარბაში, ხშირად რომ უყვართ „ცეცხლთან თამაში“ მახვილი რომ დააქვთ ქარქაშში, — მენშევიკები და მათნი დამქაშნი, — „ნიანგმა“ უნდა ჩაილაგოს ხახაში.

6. „ნიანგი“ არის ჩვენი ფრონტის მშვენიება. მისი მიზანია სოციალიზმის შენება და ამისათვის მას ეცისრება

„უაქტი“ და ფაქტი

ჩემი ცოდვა მას მიეცეს, ვინც რომ მოიგონა „უაქტი“: მან რომ ვლექი გამიჩინა, ეს უღაო არის ფაქტი! მე ჩემს დღეში ჩემს ხარჯით ვაგზ; ვაზზე ერთი ბინა, სწორედ მტრობა მშენებლობის „უაქტის“ აზრით, ეს ყოფილა! ვაი ტუტუტუს ამ ჩემს გოგრას! მოვაცილენ ხელი, ფული, გყოფილიყავ ავერ ჩემთვის, როგორც უაქტი, „გალაქული“ მზამზარეულ ბინის ხელში გდება რათ ვერ მოვახერხებ, რომ მივდექ და ეს ფიცრები ვატრიალე, ვთალე, ვხერხე?! და „უაქტისგან“ მშენებლობის მტრობის ფესტივ მივიკარი: სულ შემძულდა თავი, ბინაც, ი, დაიწვას მისი კარი! მაგრამ „უაქტმა“ ეს საძრახი სახელიც არ მაყოფინა, თურმე თითონ, ის ეშმაკი, ორმოც ზორმად გავოფილა! და გაზეითში სულ ცალ-ცალკე, ვალდებულთ რომ სტამბვენ სას, პრეტენზიას მიყენებენ, თითო-ხუთას მანეთიანს!.. დაილოცოს „უაქტის“ შკუა, კი ჭონია ქვეყნის წონა, ორმოც ხუთას მანეთს თუ რომ გადავიხდიდი, ეს ეგონა!.. მაგრამ ფაქტი და ეშმაკი იცინოდენ ერთად ორი, რადგან ვალი მე ერთ „უაქტის“ არც ნახევრის მჭონდა სწორი! მხოლოდ აქაც დამნაშავე ვინაც არის, თითონ საჯეთ: რა ვალია, მის გარკვევას ვალხედ მეტიც თუ ახარჯეთ, და მინც მის ოღონობას სტოვებთ ისევ გაურკვევესა?! „უაქტი“ თვისას მოითხოვდეს, თითქოს პირით ღეჭდეს კვესა! არჩეინად თავსა გრანობდეს, როგორც ბერი-მონასტერში, არსებული წესის ნაცვლად, საკუთარი შკონდეს ხელში, და ზომავდეს „თვისი მტრით“: მითვლიდეს ერთი-ორად?! სწორედ ვარა ამ საქმეში ის სახეობაში უონგლორად! ვენაცვალე სასაპართლოს, საბინაოს რომ ეტყვიან, როგორც იჩნა, მან მე უაქტი წესთ ფარულბში მომიწყველია, და ვალისგანც განვიტვირთე, და დავტვირთე ვალით „უაქტი“ ჩემს წილ. უნდა ჩემი ბინა, მან აკეთოს—აი, ფაქტი! ათას თუმნებს რომ ხარჯავდა უთავბოლოდ „თვისი მტრით“, დღეს იქით ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენს, ვერა, ნებარე!..

3

მეშაბ.

ყველაფრის გამოყენება: ერთის მოხსნა, მეორეს დაყენება, ერთი აღვილიდან მეორეზე გაიბაჭენება, ზარმატებისა და მაჩანჩაოებისათვის შავი დღის დაყენება და ზოგჯერ მთელი ფრონტის აფეთქება, თუ მას ენება. კონფერენციის და... სპირიტუალური გუნ-შეიხ.

ექიმი პერეჯა

„რიყის ქუჩაზე დაინგრა სახლი № 79, კატასტროფის ადგილზე გამოცხადდნენ ალმასკომის წარმომადგენლები და ინჟინერები, რომლებმაც შეამოწმეს სახლის მდგომარეობა მისი დანგრევის შემდეგ.“

ჩვენს სოფელში იყო „განთქმული“ ექიმი ქერეჯა.

— რა გაჩქარებთ, ბატონო, ხვალაც ამ თვის არის! — ეტყოდა ექიმი ქერეჯა, როდესაც ვინმე ცდიდა მის აჩქარებას ავადმყოფთან წასაყვანად.

— ავადმყოფი უაქანასქნელ დღეშია, ბ-ნო ექიმო, მიშველეთ რამენაირად ჩქარა! — სთხოვდა ავადმყოფის ქირისუფალი ქერეჯას.

— არაფერია, მოსარჩენი უჩემოდაც მორჩება, სასიკვდილოს კი მეც ვერაფერს ვუშველი! — დაამშვიდებდა ქერეჯა.

ქერეჯა იშვიათად თუ მოუსწრებდა ცოცხალს, უმეტეს შემთხვევაში კი ავადმყოფის გაციებულ გვამთან უხდებოდა ფათური და „უტყუარი დიაგნოზის“ დასმა.

ამ შემთხვევაში ექიმი წყნარად, აუღელვებლად მივიდა უსუსლო გვამთან, გაშეშებულ მაჯას მაგრად მოუჭერდა გამხდარ თითებს და იტყოდა:

— ავადმყოფი მეკვდარია. წამლის გამოწერა საჭირო აღარ არის!

გაფოფრილი და სახედაკაწრული მახლობლები უფრო მაღალი ხმით დაიწყებდნენ მოთქმას.

ქერეჯა ეტყოდა მათ:

— ჭირს გაძლება უნდა. თქვენნი ავადმყოფი ეტუობა მეტად ჯანმრთელი კაცი ყოფილა, და შესაძლებელია 100 წელზე მეტი ეცოცხლა, რომ არ მომკვდარიყო ასე უდროოდ.


ანდა:

— ავადმყოფს სასიკვდილო არაფერი ჭონია. ასეთ ჯანმრთელსა და საღ ადამიანს იშვიათად შეხვდება კაცი; მხოლოდ, საუბედუროთ, გული ჭონია სუსტი, და სიკვდილიც ამ გარემოებით არის გამოწვეული. რაც ადრე დაკრძალავთ მიცვალებულს, მით უკეთესია! — იტყოდა ექიმი ქერეჯა.

ამის შემდეგ მას დაუდგამდნენ სკამს, მიაართმევდნენ არაყს, ჩურჩხელას, ხმელ ან ნელ ხილეულობას და ექიმი გააბამდა დამსწრეებთან გრძელ საუბარს ადამიანის წარმოშობაზე.

სიკვდილ-სიცოცხლეზე, ცხოვრება-წაწყენდაზე და სხვადასხვა მეცნიერულ თემაზე. ლაპარაკობდა ექიმი ქერეჯა და თან ტკბილად შეიქცეოდა არაყსა და ხორავს, სანამ მაგრად არ გამოთვრებოდა. შემდეგ ბარბაცით გაუდგებოდა გზას, როდესაც ჯიბეში სათანადო გასამრჯელოს ჩაიჯიბებდა.

თოვლი ტფილისში



ეს დიდი ხნის ამბავია, და მას ეხლა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და არგაგონილი ტემპების პირობებში, აბა რა ეშმაკი გამახსენებდა, თუ არ ცნობა:

— სახლის ჩამონგრევის შესახებ რიყის ქუჩაზე.

სახლი დაინგრა შუა ქალაქში, დღი სით, მზისით, ჩვენ თვალწინ ვერ გაუძლო თოვლის დაწოლას, სახურავი ჩაწვა, კედლები ჩამოინგრა, ხუთიოდე მცხოვრები მოიტანა ქვეშ.

ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა არც მაინცდამაინც სანუგეშო.

არ ვიცი მოელოდა თუ არა ამ სახლის დანგრევას მისი მეპატრონე, ანდა წინდაწინ მდგმურები გრძობდნენ საბედისწერო წუთების მოახლოებას თუ არა. თუ არ გრძობდნენ, სჩანს, მათ წინათგრძობა არ ჭონიათ განვითარებული, (მით უარესი მათთვის!).

ყოველ შემთხვევაში არ არის მოსათმენი ის „მკვახე სიტყვები“, რომელიც ჯერ კიდევ გაისმის ცნობის-

მოყვარე ხალხში ქალაქის ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

ტექნიკური ზედამხედველობა, ინჟინერები და ყველა, ვისაც კი ევალება ასეთი საქმე, გასაოცარი სისწრაფით გამოცხადდნენ კატასტროფის ადგილას. დიაგნოზიც უტყუარი დასვეს:

— „სახლი დანგრეულია, და რომ არ დანგრეულიყო, მოუხედავად სიძველისა, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა თავისი პატრონისა და მდგმურების საკეთილდღეოთ“.

რით არ გავს ეს ჩვენი ინჟინერების მიერ დასმული დიაგნოზი „სახლის დანგრევას შემდეგ ცხოვრებულ ექიმ ქერეჯას დიაგნოზს, რომელსაც ის დაუსვამდა ხოლმე სამუდამოდ გაცივებულ გვამს თავისი პაციენტისას?“

ფიქრობთ, ექიმი ქერეჯა რომ არ მომკვდარიყო და რამენაირად მოეწია დღევანდლამდე, ადვილად შეეძლო დაეჭირა არა თუ ექიმის, არამედ ინჟინერის ადგილი.

კოლანა.

უფრ. „ნიანბი“-ს რედაქციასთან დაარსდა ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის **ლიტერატურული წრე**, რომლებსაც ხელმძღვანელობენ აშხ. აშხ. ს. ეული და ი. ხინველი.

პირველი მმცადინეობა შესდგება 2 თებერვალს საღამოს სრულ 5 საათში რედაქციის ბინაზე (ჯორჯიაშვილის ქ. № 4).

სასუკველია ამხანაგებმა თან იქონიონ თავისი მასალები.

უფრ. „ნიანბი“-ს რედაქცია.



5

ოპორტუნისტი: — შენც ჩვენსავით გაქრები მზის გამოჩენისას!

„ს ა ბ ზ ო ს წ ე ვ რ ი“

— ამხანაგებო, მე-7 მოწვევის საბჭოს მუშაობის შე-
სახებ მოხსენებას გააკეთებს ჩვენი დეპუტატი! — განა-
ცხადა კრების თავმჯდომარემ და სიტყვა მისცა საბჭოს
წევრს.

— რეგლამენტი — წამოიძახეს ყოველ მხრიდან.

— მართალია, რეგლამენტი კინალამ დამავიწყდა!
გაასწორა თავისი გულმავიწყობა თავმჯდომარემ და და-
იწყო რეგლამენტის შედგენა.

— ნახევარი საათი...

— სამი საათი. ნახევარი საათი რას მეყოფა! — კა-
ტეგორიულად მოითხოვა საბჭოს წევრმა. მოხსენებისა-
თვის მომზადებული არ იყო. იცოდა, რომ სამსახურის
დამთავრების შემდეგ დიდი ხნით კრების გაგრძელების
მსურველი არავინ იქნებოდა და კრება გადაიდებოდა.

— ეხლა უკვე სამი საათი სრულდება. მომხსენებე-
ლმა თუ სამი საათი ილაპარაკა, შორს წავიყვანს, ვი-
ნაიდან მოხსენების შემდეგ იქნება შეკითხვები, შემდეგ
კამათი, საბოლოო სიტყვა და ჩვენ აქ შიმშილით დავი-
ხოცებით. ამიტომ, რომ უფრო ნაყოფიერი დარჩეს ამ
ფრიალ მნიშვნელოვან საკითხის მოსმენა, წინადადება
შემომამქვს — კრება გადაიღოს ხვალ საღამოსთვის! —
წამოიძახა ერთმა.

იგრილა ტაშმა.

კრების გადადების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქ-
რა ადგილკომის თავმჯდომარემ, საქმე იმაში იყო, რომ
მეორე საღამოს სახელმწიფო ოპერაში მიდიოდა მე-მ-ე
აბონემენტის მე-6 წარმოდგენა, რომელიც არ უნდოდა
ჩაეგდო. ხოლო, შემდეგში სანადიროთ აპირებდა კახეთ-
ში წასვლას. ამიტომ თავისი გაიტანა.

სიტყვა მოხსენებისათვის ისევ საბჭოს წევრს მიეცა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, მაგრამ სიტყვა ყელ-
ში გაეჩხირა. სათვალეებს ძებნა დაუწყო. აიღო საბჭოს
მუშაობის მასალები და დაიწყო კითხვა.

სათვალეები სახლში დარჩენოდა; ამიტომ პირველი
ჯგუფას მოწაფესავით კითხულობდა.

ვილაცამ რეპლიკა სტუორცნა.

— ამხანაგო, ხმამაღლა კითხვას ატარებ, თუ მოხსე-
ნებას აკეთებ.

— მაგ ბროშურას შენზე უკეთესად წავიკითხავთ!

— გადაეცი ისეთ კაცს, რომელმაც კითხვა იცის და
ბარემ ის წაიკითხავს.

ამის თქმა და კრების ახმაურება ერთი იყო.

— როგორ ტყუილად გვზარალებია ტრამვაის უფა-
სო ბილეთი ამ ერთ წლი ნახევრის განმავლობაში?! —
იოხუნჯა ვილაცამ.

კომუჯრედის მდივანმა შემდეგი წინადადება შე-
მოიტანა:

ჩვენი დეპუტატის მუშაობა ჩაითვალოს არაღამა-
კმაყოფილებლად. დღევანდელი კრება გადაიღოს სხვა
დროისათვის და ერთხოვოს ტფილისის საბჭოს პრეზი-
დიუმს გამოგზავნოს სხვა მომხსენებელი.

წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად, რომლის შემ-
დეგ ადგილკომის თავმჯდომარემ „საბჭოს წევრს“ დაუ-
წყო ჩხუბი არა იმიტომ, რომ საანგარიშო კრება ჩაიშალა,
არამედ, იმიტომ, რომ ნადირობის გეგმა ჩაეშალა.

ბოქსინი.

6

საქ. ღვინ-კავშირი

რა კი ვხედავ კიდევ ერთხელ ამეტყველდა თავში მუხა,
უნდა ვწერო, მეგობრებო! (აზრებს მოსუოოს იერას უხამ).
ეს ორგანო პაწა იყო, გაიფორჩხა, გაიზარდა,
ყველამ თავი მასში შეჰყო, ვინც სხვა ადგილს ვერ ივარგა
დაუჯერეს ვილაც ჰკლას სიჭკივრით დაყვეს იგი,
კაცმა ტყვილი როგორა სთქვას, ყველგან შექნეს კული;
რიგი;

„სნაბეენია“, ორგადელი, სავაჭრო და საწარმოო,
მინდა ყველას ცალკე მოთვლა დავიწყო და ვაწარმოო.
კულტაწილი,საიდუმლო, ინსტრუქტორთა შექნეს კადრი
მომუშავეთ მოიწვიეს ვისიც შეტი ქონდათ ხათრი.

საფინანსო, გამომგონთა თავმჯდომარეს არ ყავს ტოლი
თითო ოთახს მიაკუთვნეს ზოგან ცხრა და ათი სტოლი.
(სამსახურში მოიყვანა ზოგმა ქვისლი, ძმა და ცოლი).
ყველა ნაწილს ყავს ქალები, მოწყენა არ დაიჩინეს,
ჯამაგირი და ვალები ერთი ათად გაიჩინეს,
ავანსების გასაცემად გაუგზავნეს გლაგებუხს ნოტა.

შიკრიკები ვინ დასთვალოს, ეყოლებათ ერთი „როტა“,
გამგებები, თანაშემწე... ბიჭო, ამას როგორ ვხედავ!
ორას მოსამსახურეში წინ წაწეულს ორს ვერ ვხედავ.
ეს ორგანო პაწა იყო გაიფორჩხა, გახდა დიდი,
მაგრამ საქმე ისე მიდის, როგორც ჯოხით ინვალიდი.
ეხლა ვიცი შემეძინა მტრებათ კოტე, იზა, ტასო,
მეც არ მინდა ჩემი თავი გენიოსად შევაფასო.

წერას მაინც არ დავიშლი, რომც ამკუწონ ასოთ-ასო;
ეხლა სიტყვას გვეტყვის, ალბად, დირექტორი ჩვენი ვასო.
ს. ძნელოვლი.

კ ა ვ ე შ ი

ნახ. რევმასელი



— კოვში და შაქარი მოიტა!
— შაქარს ჩვენ ვყრით ჩაიში დაკოვშითაც ჩვენ ურევთ!
— ბარემ ჩემს მაგივრადაც დაგე ღლია ჩაი.

დისკუბი ხელოვანთა სასახლეში

ამხ. ივანე გაშაყმაძის მოხსენება მავნებლობის შესახებ

მოხსენება

ამხანაგი გაშაყმაძის სიტყვა იყო მეტად ვრცელი. ჯერ შეეხო ისტორიას, კვლავ მავნებლებს გაჰკრა ცელი. განაცხადა, გვევალეზო პერიოდი გარდამტეხი, - არ დავზოგოთ ვაჭარი და გაკულაკებული გლეხი, მერე მწერლობას შეეხო, როგორც ქირურგი ნაცადი. სიტყვა: ამ წრეშიც მავნებლები რომ არიან, არის ცხადი. ბევრი მარჯვნივ გადაქანდა, განდა რაღაც უმადური. მაგალითად **ჯავახიშვილს** დაუწერია შადური. **გამსახურლიაც** თავს იგდებს არ ისმის ახალი ხანა, თუნდაც **საშა აბაშელი** თანამგზავრი არის განა? ჩვენ არ გვინდა გამტყადარ სარკეს კითხულობდენ ყმაწვილები, რადგან მასში ბლომად არის პესიმიზმის ბაცალები. თუნდაც **გერონტი ქიქოძე** რომ იმოგზავრა ვაქირში; ნაწილობრივ **რობაქიძეც** თავსდება იმათ „ლაგირში“. რეკონსტრუქციის ხანაში რა თქმა უნდა უშვერია, ამ **გრიშაშვილს** რომ ყულაბა კოცნისთვის გაუშვერია. „**ცისფერი ყანწელებიც**“ კი, თუმცა ჩვენს ახლოს დადიან, თანამგზავრობა ვერ შესძლეს, - სწადიან თუ არ სწადიან, ვთქვათ **ტიციანმა** აღნიშნა შენება ახალ ხანისა, მერე სიმღერით გაჰყვება ის ვირებს **ოქროყანისა**. ველარ გაიგებ რა უნდა, ხან ეს არის და ხან ისა.

მაგრამ ზოგი თანამგზავრი ჩვენთან მოდის, მოგვეხალა. აი იმათ მეთაურებს ჩამოგითვლით აქვე, ახლა. პირველი **გალაქტიონი**, მეორე **ჩიქოვანია**, მესამე **რაუდენ გვეტაძე** და ამათ შემდეგ **სხვანია**. (რეპლიკა იყო: ივანე, რატომ დაზოგე ძალაო, სხვებიც იქ იყვნენ, სახელდობრ შეგეძლო დაგეთვალაო). დასკვნაში მემარჯვენეებს მან გაუყვია შამათი. დასრულდა მოხსენება და კვლავ გაიმართა კამათი.

კამათი მოხსენების ბარშემო

ამხ. პაოლო იაშვილი.

იაშვილი გამოვიდა გაბედული სიტყვით, რიხით, და გამოომის შერჩენისთვის გაედავა გაღმას, იქით. კვლავ სიტყვა: ყანწი მეც მომწყინდა, ლენოს ვსვამო ეხლა ქიქით. „**ცისფერ ყანწების**“ გამოცვლა თვით ჯგუფმა დაადგინაო, და რა დავირქვათ გვირჩიეთ— ფოლადი სჯობს თუ რკინაო.

ამხ. არისტო ჭუმბაძე

არისტომ სიტყვა წარმოსთქვა საღმრთო ქადაგების ტონით, მაგრამ პაპას და ლოიდ-ჯორჯს შიიბრძოლა მთელი ღონით.

ამხ. კონსტ. გამსახურდია

კოწიამ სიტყვა: ნადირობა ჩემი არის სასაცილო, ყველამ ირის—ხუთ სროლაში ექვსი უნდა დაევა/ვილო. ს. ოავაძეა მოწამე არ გვეგონა ხალხნო ქორი: მწყურებს კი არა, სიტყვებს ვეძებთ, მე, ძალლი და ჩიმი ქორი.

ეს ცივან კონდრატეევთან, რატომ უნდა შემიდაროთ, ყაბულოს ვარ შტატებს გავესწროთ, ვეროპას თვალი დავსთხაროთ. ბი... სიტყვა (პროლეტმწერლებზე)— ერთში ვერ უთმობ მაგათო: მე ნივთს რომელიც ცხვირ წინ მაქვს, რაგჩა, ვერ ვამჩნევ კარგათო. (რეპლიკა იყო: მარცხენა თვალთ ვერ ხედავს სალათო).

ამხ. აღ. სულავე

სულავემ, როგორც დამკვრელმა, მაგრად დაარტყა გვერია, მან სათათაოდ გაჯორა. ვინც მემარჯვენე გვერია. და განაცხადა: მე მიკვირს რას ამბობს ეს კოწიამო?*) საკითხს პირდაპირ მივადგეთ, რათ გვინდა დისტანციაო.


ამხ. გრიგოლ რობაქიძე

რობაქიძემ გაიკვირა: —მე როგორ ვარ მაჩნებელი! სტეფან ცვაიგი მე მაქვს, მაქვს მე ანდრეი ბელი! დაკერაზე თუ საქმე მივა გამოვიდეს ჩემთან ათი, „გველის პერანგს“ განზე დავდებ, გავალ მარტო „ლაშარათი“.

(გაგრძელება იქნება)

გაიოზ ყირიმელი

*)უნდა იფლსისხმით კ. გამსახურდია და არა კოწია ლორთქიფანიძე და მით უმეტეს არც კოწია ჭიჭინაძე, ამ უკანსენელს, ამ უამად ყოველდღიური საკითხებისათვის არ სცალია, ვინაიდან იკვლევს „ვეფხვის ტყაოსანში“ რამდენჯერ არის ნახმარი ასო „ჰ“ და მართალია თუ არა, მეოცე საუკუნის პირველ მეთხედის მწერლის ეგვენი დვალის მიერ დაირაზე წარწერილი რუსთაველის დაბადების თარიღი.



სურათი, რომელსაც წარწერა არ სკირდება.

საქართველო

ბრ აწუხებს მუშავედ მუშავეს

„ქაბეთის რკ. გზ. რევიზორი მაქავარიანი ხაზის სადგურებს განგებ ყალბ ცნობებს აწვდის მატარებლებში ადგილის უქონლობის შესახებ. ამით იგი ცდილობს გამოიწვიოს მგზავრების უბილეთოდ შესვლა, რომ მათი დაჯარიმებით პროცენტები მიიღოს“.

„საგარეჯოელი“.



ესეც ხერხია ახალი
ნუ გეგონებთ ჭორია,—
(ეკუთვნის მაქავარიანს
რომელიც რევიზორია)
უბილეთობებს ამრავლებს,
რომ შემდეგ გაჭირას ტორია,—
(ფულს „შოვნა უნდა“, რას იზამ!
ზოგი ასეთი ღორია!)

შენ ამხსენდი რევიზორს

„სოფ. ნუნწში, საბჭოს არჩევნების დროს ყოფ. აზნაურმა ავქსენტი რევიამ გაილაშქრა მშრომელი გლეხებისაგან შედგენილ კანდალათა სის წინააღმდეგ და მოითხოვა სიაში აზნაურების შეტანა. მას კვერი დაჯრა რაუდენ რევიამაც“.

„ცოცხი“.



„კაცს არ უშვებდე ფაცხაში,
ის ხმალს თაროზე ჰკიდებდა“,—
ჩვენს დროში ასეთ მაგალითს
ბრიყვი თუ გაეკიდება,—
აი, აცნობდეთ, ეს ბრიყვი
ავქსენტი გახლავთ—რევიამ;
მას და მის ბიძა რაუდენსა
ქკუა მთლად გამოლევია:
„აზნაურები საბჭოში“,—
ეს არის მათი დევიზი,—
ნიანგისაგან ამ ყოფილთ
რაც მოუხდებათ ქე—ციცი“.

მს არუწოვის წყნია

„სოფ. კასპის კოოპერატივის ნოქარი რუბენ არუწოვი უხეშად და უყურადღებოდ ეპყრობა მეპაიე გლეხებს. სამაგიეროდ ნაცნობ ქალებს უწინააღმდეგოდა და რიგს გარეშე აძლევს საქონელს“.

„მნახელი“.



შავი სიოდან გამოძვრა,
გახდა ნოქარი ღიღია,
გლეხებს არ სწყალობს, იმათთვის
უარი გულთ შკიღია,
სამაგიეროდ ქალთა სქესს,
მუშეკაზი გააზიდვია.

ფულებს რომ უძნა ქლაპია — ფირკა ვით ტყემლის ტყლაპია?

„ზემო-სურების თემის გლეხობის მიერ სამკითხველოს მოსაწყობად მოგზოვილი ფულები გაფლანგა მოქ. ევს. ბარამიძემ.“

„შალუნ“.



ეს ბარამიძე როდი.
უბრალო ვინმე „ღლაპია“,
სამკითხველოსთვის შეგროვილ
ფულებს რომ უქნა ყლაპია,—
გაქეცა სურებს ა ფიქრობს,
შერჩება როგორც ტყლაპია!

არბელი ჰქვინან სახლად

საზრავს სხვას მხედავთ ამხელად.
„ქიათურის არტელის სასადილოში მოკალათებული არიან კლაკები და ყოფილი გაჭრები. სასადილოში ხშირია ზედმეტი ანგარიშის შემთხვევები.“

„მართალი“.



ვას არტელო, რაზივან ხარ,
რასა დუქნობ, რა ზნე გვირსა.

კულაკებით გადახილო,
მათ უყურებ განაჭირსა,
მოხენ აბრა ეგ წითელი,
მუშებთან რათ ირცხვენ პირსა?

მს მძიმო ანთაქმო, ალთაქმ თუ გალთაქმო?

„ოზურეთის ძაფსაღებ ქარხნის უშტატო ექიმი ანთაქმ უხეშად ეპყრობა მუშებს, და ჯანმრთ. განყ. გამგე მაქავარიანის დახმარებით დილობს ექიმ ქინქლაძის ადგილის დაკავებას“.

„ქარხნის მუშა“.



გაგვიმკურნა ა, შაგრამ რა,
შტატში ვერ მოხვდა ჯერათ,
ექიმ ქინქლაძის ადგილზე
თვალეები შ ჩერათ,—
—ჯანგანოს გამგე ხომ სწყალობს,
თვისას გაიტანს—მჯერათ.

მს ის ფოთელს კვაპია

ფულეებს რომ გაპრა კლანჭია.
„ფოთის ნავსადგურის შავი ტვირთის მუშათა ადგილკომის ყოფ. თავმჯდომარე — ალექსანდრე კლანდაძე რომელმაც გაფლანგა 6000 მანეთი და დააბატონირეს, ვილაცხს წყალობით უკვე გამოშვებულია და ტერორის ქვეშ აყენებს ვინც ამხილა მისი ავაზაკური მოქმედება“.

„ნავსადგურელი“.




გაქნილი კომინატორი
ხებრე და ლოპო-ფოთია,
ადგილკომობდა, ეგონა;
მისია მთელი ფოთია:
თავკვირთა ხა სალარო
ნოც პატიუა ვასოცა;
„რალე“ ექვსიოდ ათასი
შესანსლა, ამ აცოცა.
ბოლოს გაუფეს ია მანდურს
რა ბიჭი წახდა, რა ბიჭი,—
ადგილკომიდან—ციხემდ
აღმოჩნდა ერთი ნაბიჯი..

მოკვანებითი ფეხებიოვა

ნახ. ნადარეიშვილის.

„პანევროპიულ კავშირის დაარსებით საფრანგეთი ცდილობს ევროპაში თავის გაბატონებას, რასაც ეწინააღმდეგებიან სხვა სახელმწიფოები“.

გაზეთებიდან.



9

— ფხხხ! ბრინანს ჰგონია ორსულად აჩის ეს გაბერილი გეგზუნანა!

ს ს მ ა ლ ა ს ს მ ა

შალიაკინი

უქებენ ხმასა, —
ცნობილია ვით მომღერალი,
მაგრამ უბედურს
„დაესებია ორივე თვალი“
და თურმე ფულიც
სახარჯოთა შემოკლება, —
(ვით მოყვარული
ტკბილ ცხოვრების ის ნაქებია)
„მანტაჟობისთვის“
მიუშართავს ამ სიბერის დროს, —
დაგვეცანტლოს უნდა
ჩვენ ფულები და ისე კი გვეტრობს...

ჩკინის გზა და მუშაკობა

მუშაკობი ბრალს სდებს ჩკინისგზას:
არ გვაძლევს რონოდებსაო,
რომ შემა დროზე მივიღოთ
და დროზე მივსცეთ წვერსაო...
ჩკინის გზა მუშაკობს შეუტევს:
„ხრიკით ვერ გახვალ ფონსაო“
ბრალს ნუ გვდებ, — დღემდის გძინავდა
და ესლა მოდი გონსაო?!

მიხეწვალდდი, ჩუბკოვსკი და ღირამსია ოკაინი

ხელგაშლილობით
ვინ არ იცნობს ოპერის თეატრს;
წარსულ „ცოდებზე“
ბევრი რომ ვსტყვათ, რა საჭიროა.
სამწუხაროა,
მასზე დღესაც ვერ ვიტყვით ბევრ
კარგს

(თუმც რომ ვინილოთ
ამ თეატრში კარგი რამ დროა).
ეიხნევალი
და რუტკოვსკი აქ იყვენ თბილად,
მათ „სიწმინდეში“
ღირექციას ეჭვი არ ქონია
და ეს ვირთხები
ხრავდენ ფულებს აქ თურმე
ტკბილად;

ღირექცია კი
ნეტავ მაშინ რაზე ფიქრობდა?
თეთრი კბილი — შავი გული
ყენევისკენ გაემგზავრენ
ჰენდერსონი და ბრიანი.

გზაში ტკბილად ჭუკჭუტებდენ,
იქ დაიწყეს თვალით ბრიალი.

პანამკოვას

„ოთხმოცი წლის ბებიაო,
აწ ვერ გათხოვდებიო“.
ვერ გაგათხოვს შენ ბრიანი,
შევე არის ეს გვიანი.

ამერიკას

პრეზიდენტის სავარძელში
თუმცა გიზის შენ ჰუვერი, —
მაგრამ კრიზისს და გასაჭირს
შაინც ვეღარ დაუძვერი.

მუშაკოვს, საღვთოს, სეპციას

დავბერდი დამე ჯერ შენგან
არაფერი არ მოგებია,
რადგან არ ვარ მე შენი ძმა,
ბიძა, რძალი და ბებია.

ტრამვაის ღირამსიას

ჭკვიანი ხარ, და რად გინდა
წავიკითხო მე ლექცია!
ტრამვაისთვის ყურადღება
სჯობდა დღემდეც მიგექცია.

ნიანგის ლექსიკონი

10

აუთიაჟი - ჰიგიენური-სანიტა-
რული დაწესებულება, სადაც სხვა-
დასხვა სამკურნალო წამლებს ამზა-
დებენ. თუ ვიგულისხმებთ ტფილი-
სის აუთიაჟებს, მაშინ უფრო სწორი
იქნება ამ სიტყვის ასე განმარტება:
იოდუმ, ხინინუმ, კასტორკუმ გამხს-
ნელუმ, ასპირინუმ, ნატრუმ ბრონა-
ტუმ—ჩკა (არ არის); პუორუმ, დუ-
ხუმ, ვეჟეტალუმ, ადეკალონუმ და
სხვადასხვუმ ნაარნაირუმ ფუფუნე-
ბუმ საგნებუმ—„სკოლკი ხატიტე“.

ალიმენტი - ერთგვარი საწამლა-
ვი, ნესტარი ანუ შხამი, რომელიც
მუსრს ავლებს და სწამლავს სხვადა-
სხვა ფორის დონ კანების გულს
(განსაკუთრებით მათ ჯიბეს) ამ სა-
წამლავის სიმაგრე 20 პროც. 50
პროც. აღწევს. როგორც გადმოგვე-
მენ, ამ საწამლავის გამოგონება ზე-
სტაფონის პოეტმა და მომღერლებმა
ასეთი ლექსით აღნიშნეს:


ყველა მხარე დამივლია
დასაქცევი ხვირის მეტი,
ქალი არ მომწონებია
ევა ჩიკვაძის მეტი.
არ დამლუპო, გენაცვალე —
არ დამასხა თავზე რეტი, —
არაფერი გაამხილო
არ მომთხოვოს ალიმენტი.

აჰანსი — მაცდური არსება, რომლის მიღება განუსაზღვრელ სინარულს იწვევს და მოგონებას კი დამ-

ბლა და ნეკრესის ქარები მოსდევს.
ეს ბანოვანი, უფრო ხშირად, დროს
სამეურნეო ორგანიზაციებში მოკა-
ლათებულ ბიუროკრატებთან ატა-
რებს.

ვაი-ვაი მესდგება ორი სიტყვი-
საგან: ვაი ნიშნავს ტრამვაის ვაგონ-
ში შესვლას, ვაი ტრამვიდან ჩამო-
სვლას.

მივლინება — წარმოსდგება სი-
სიტყვისაგან ვლა, სვლა, წასვლა. ეს
სიტყვა სხვადასხვა პრფესიის ხალხი-
სათვის და სხვადასხვა პირობებში
სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება.



— თავის ტკივილებს ვგრძნობს
— ალბად გეჩვენებათ; თქვენ თავ-
ში არაფერი გაქვთ!

მაგალითად, მოლარისათვის სალა-
როს დაკეტვის წინ ეს სიტყვა ნიშ-
ნავს სახაზინო „ფეშუმ-ფარების“
ჯიბისკენ „წაიმასქნებას“, ე. ი. ჯი-
ბეში „ჩავლინებას“, სალაროდან გა-
სვლის შემდეგ ნიშნავს მოლარის
„მოკუკლავანებთან“ წავლინებას, შე-
მდეგ მათთან ერთად „მყუდრო ადგი-
ლას“ „შევილინებას“ და სულ ბო-
ლოს გამსახლში „გავლინებას“ თბი-
ლი „ვანების“ მისაღებათ.

ნავთი — მშვენიერი ასული სიზ-
მრად მოვლენილი ზამთრის ლამეებ-
ში, რომლის მოპოვება სიცხადეში
შეიძლება გრძელკუდიან რიგში დგო-
მის და „გრილი აბაზანას“ მიღების
შემდეგ. ამ სურნელოვან ასულის შე-
სახებ ერთ ახალგაზრდა პოეტს მთე-
ლი პოემა აქვს დაწერილი, რომელიც
ასე იწყება:

თავბირ - ხელზე გათოშილი
გაყინული ამადარი
შე, ასულო უშენობით
გაგჩიკინდი, როგორც მკვდარი.
ზამთარია, ეინავს თოშავს
და კანკალებს ეს ქვეყანა
ქვეყნად ყოვლნი სულიერნი
„ოჩერედში“ შენთვის დგანან.
შე, მუშაკობო, სიზმრად ვნახე
ნავთით ჩვენთან მოფრინავდი,
გაგვისხენე, მოგვიგონე,
მოგვაძახე: „ნავთი! ნავთი!“

მედუზა


ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ნახ. ნინუას, გუმბანაძეთი (სამტრედია).



— ჩვენ კოლხელები ფართალი მოსულა!
— მერე რა! ჩვენ კი არა, მგონი სადღეობა კომისიის წევრებსაც არ ეყოფა!

ნახ. შვიდლობის, ძმინანი.



— სად მივაქვს, კაცო ეს შემწვარი გოჭი?
— აწნევის მექანიკოსან, ეგებ მუდმივ სა-მუშაოზე ჩამრიცხოს!

ნახ. თხოზორიას, ზუგდიდი



— რატომ ელექტრონი არ ანათებს ქუჩე-ბში?
— ახლა ია საჭიროა, მთვარიანი ღამეა! ნეტავი ჩვენი ელსადგური უმთვარო ღამე-ში ანათებდეს, და სხვა რა გვინდა?!

ნახ. ალ. ხალურის, გორი.



დმეცა! — ეგებს! ამ 18 წლის წინდ ყოჩაღი ახალგაზრდა ვიყავი!

ახალგაზრდა მხატვართა საუბრადგებოთ
ახალგაზრდა კარკატურის მხატვართა კადრის შექმნის მიზნით უფრ. „ნიანში“-ს რედაქციასთან დაარსდა კონსულტაცია, რომელსაც ხელმძღვანელობენ მხატვრები დანი და ნადარევიძე.
საკვირო ნიშნები; რედაქციაში მუშაობისათვის მხატვრებს მიეცემა უფასო.
პირველი გაკვეთილი შესდგება 30 იანვარს, საღამოს სრულ 5 საათზე უფრ. „ნიანში“-ს რედაქციის ბინაზე (გორაკაშვილის ქ. № 4).
სამსუბუქო მხატვრობის შემუშავება პირველ გაკვეთილზე ახალგაზრდა მხატვრებთან შეთანხმებით.
მხატვრებმა უნდა მოიტანონ ერთი ან რამდენიმე ცალი თავისი ნამუშევარი.
უფრ. „ნიანში“-ს რედაქცია.

ჯაბალო მომყოლაქე

ჯაბალო მომყოლაქეს ავტო თერთმეტი წელია ხმა ართმული აქვს.
— ტყვილა დამწვეს, ძაო, ამ კომუნისტებმა! — თითქმის ატირებით მომბართა მან. ჩემისთანა კომუნისტი მეორე არ იქნება. მართალია, პარტიაში არ ვყოფილვარ, მაგრამ გულით ნამდვილი კომუნისტი ვიყავი და ვარ. არ მინდა ესლა საქმე გავახლოვოთ, თორემ ახ. სტალინს მივწვრიდი ერთ წერილს და ყველაფერი მორჩებოდა.
— ახ. სტალინსაც იცნობ, ჯაბალო?
— ჰმ! ვიცნობ რომელი!
ჯაბალო რომ არ იცნობს ისეთი ვინაა კომუნისტებში. სტალინი რომ დიქირეს, ჯაბალოც ბათოში იყო. სტალინი რომ ცინეში იჯდა, ჯაბალო მაშინაც ბათოში იყო. რომ გადასახლეს, ისიც იცის. ყველაფერი ახსოვს. პოლიციელები ხშირად ებასებოდნენ მას სტალინისა და სტეპის შესახებ. პოლიციელებისთვის აბა რა უნდა ეთქვა, ისე გულში კი სულ ავინებდა მთავრობას. ეხლა მოადგენ ჯაბალოს და ეუბნებიან: მესაკუთრე იყავი, ვაჭრობდიო. იმას კი არ ძიბენ, თუ რა მოსაზრებით იყო მესაკუთრე.
— ჩემო, ბიძია, ის ორი დიდი სახლი რომ არ გამეკეთებია, ერთში კლუბი რომ გაქვთ და მეორეში თქვენი კომიტეტი ბრძანდება, დღეს სად უნდა ყოფილიყავით, ა? დღეს თუ იმხით „სოცმეჯობრება, აღმშენებლობა და ასეთებია საჭიროო, მაშინაც ასე იყო ავი: მე და საბაევი ერთმანეთს ვეჯობებოდით სახლებს ავებდაში. დამკვრელობა სწორედ მაშინ. მჭონდა შემოღებული. დიღის 5 საათიდან ღამის ცხრა საათამდე ვამუშავებდი მუშებს. მეც თავზე ვადექი, ერთი მითხარი, ასე რომ არ მექნა, სად დაჯდებოდა თქვენი კომიტეტი, ა? უსამართლობაა, ბატონო, მაგრამ რას ვიზამ! — ჯაბალოს ამ სიტყვებთან ცრემლებიც წასკდა.

მართლაც უღანაშულოდ დაუსჯაოთ საწყალი ჯაბალო.
— თუ ბრალს მდებენ, ჩემო ბატონო, იმაში, რომ ვაჭრობდიო, ეს არც ისეთი დიდი უბედურებაა. ლენინი ამბობდა „ვაჭრობაც უნდა ვისწავლოთ“. ჩემთან რომ ვაჭრობას სწავლობდენ, დღეს ყველაზე დიდი კაცები არიან, და მე. მათ მსწავლებულს რა დამიშავებია, რომ ხმის უფლებაც არ მაქვს? სახლების შესახებ ქე მოგახსენე, კომუნისტი არ ვიყავი, მაგრამ კომუნისტურ პროკურამას კაოგად ვიცნობდიო.
ერთხელ სწორედ დიდი უბედურების მოწამე გახვდი. კაცო, შთაღამეზე მივდივარ სახლში და რას ვხედავ: ჩემი სახლის ქვედა სართულში, სადაც ერთი მუშა ცხოვრობდა, მოუყრიათ თავი ყველა სოციალისტებს და პროკურამაციებს კითხულობენ.
შიშით მუხლები მომეკვითა. სულო ცოდვილო, კიდევაც ვთქვი: „პოლიციელებს ვაცნობებ — მეოქი, მაგრამ მეორე გულმა მიიხრა: მაგ საშირო საქმეა, და თავი დავენებე. მიეღი ღამე შიშით ვკანკალებდი. მოდი ეხლა და ჯაბალოს ხმის ნუ მისცემთ! კო მუნისტური მთავრობა ვის ევაფრება, ჩემო პარმენ, მაგრამ კომუნისტები ვერ ამიტანია. მოხერხებული ბიჭი ხარ, ჩემო პარმენ, და მოდი ერთი ხიმი ამბავი ჩამიგდე გაზეთში. ვიცო, რაეც კი წაიითხავენ, მაშინვე გამოიძიებენ საქმეს. მაგას ნუ დამამადლი. ათი წელია უხმოთ ვარ, კაცო, და ეხლა მაინც მომცენ ხმა, თუმცა რა ეშმაკათ მინდა, მაგრამ ეგებ სადმე სამსახურში მოვეყყო!
მეც ვასრულებ ჯაბალოს თხოვნას და გვგზავნი, ახ. ნიანგი, ჯაბალოს ამბავს დასაბუტლათ.

პ. თხოზორი

მ უ ს რ უ ჯ ი

„წ მ ი ნ დ ა ნ ი“

სტალინის ნათესადენის მუშა ნავ-როზიშვილი „ალაბალა“ დასეირნობს. ამას წინათ ის მთელი ოთხი დღით სადღაც დაიკარგა და აღარ გამოჩენილა.



ნავროზაშვილს,—
პიბოტენ
გამოეხსნა ფრთებიო,
გადიფრინა ველები,
ქალები და მთებიო.

შ ე ე შ ა ლ ა

„აკოშაში მტრედი ზის,
თავი გამოუყოფია,
ახლანდელი მოგზაურობა
შეტად ძნელია სწორედა“.
(ზურგეღობის უკვდავი აფორიზმი)



ცოლი: — ვაი, ვაი! მიშველეთ!
დააბით, შეკარით! პეტრე გაგიჟე-
ბულა, — ჩემი ქმარი! ჩემი საყვარე-
ლი მეუღლე!


ქმარი: რას ამბობ, ხომ არ გადი-
რიე!

ცოლი: მიშველეთ, ექიმო ჩქარა!
პეტრე, პეტეიკო! რა მოგივიდა, რა
ჩაიღინე, სად არის შენი ცალი ფეხსა
ცმელი, რამ დაგიფლითა ტანსაცმე-
ლი, რად მოიგლიჯე სახელო, ფეხი
რამ მოგტეხა, სად არის შენი წინდა,
რატომ გაქვს თავ-პირი დასისხლია-
ნებული? რა მოგივიდა პეტრე, რა
ჩაიღინე?

ქმარი: არაფერიც არ ჩამიღინია.
ტრამვაის ვაგონით ვიმოგზაურე...

გ ო დ ე ბ ა

ფოთის ნავთსადგური და რკინის
გზის საწყობები საესეა უცხოეთი-
თან მოსულ სხვადასხვა მანქანა-
იარაღებით. რკინის გზის აღმინს-
ტრაცია კი მისი დანიშნულების
ადგილზე გაგზავნით თავს არ
იწუხებს.



— შრომისათვის გაგვაჩინეს,
მუშაობა გვწადია
საწყობებში ვიჟანგებით,
მთელი წელიწადია
ნუ თუ სულ ასე ვიქნებით
„ბედით“ დაჩაგრულები
საწყობებში ჩაკეტილი,
უქმად დარჩენილები!!
გველოდება კოლექტივი,
ქარხნები და ყანები
მოგვეშველეთ,
ვიღუპებით
უმანკო მანქანები!

შ ე ა ნ ე ლ ე თ !

თანხმად საკ. კომპარტიის დი-
რექტივისა ამიერ-კავკასიის რკი-
ნის გზაზე უნდა შექმნილიყო რა-
ციონალიზაციის გამტარებელი
ადგილობრივი ორგანიზები. მაგრამ
ასეთი ჯერ კიდევ არა სჩანს.
(გაზეთებიდან).




რკ. გზის ბიუროკრატი — რა ხალ-
ხია, კაცო ეს ბოლშევიკები! ყველა
აპარატებში და რამე რამეებში საკ-
რაშჩენიე გაყავთ და ერთი ამ ტემ-
პების საკრაშჩენიეც ქნან, რაღა! რა
საჭიროა თუნდაც ამ რაციონალიზა-
ციის ორგანოების ჩამოყალიბების
დაჩქარება?! ჯერ სულ რაღაც ასი-
ოდე რონოდა არის უყაირათობათ
დამტვრეული და რაღაც 100.000 მა-
ნათების „ეკონომია“ იკარგება! სხვა
რა არის, — ქვეყანა ხომ არ იქცევა
ლააა!?

„ე გ ო ნ ა“

თფილისის სადგურმა ბაქოში გა-
გზავნა ოთხი ნავითი საესე ცის-
ტრონი (რონოდა).

— ცარიელი ვაგონები მეგო-
ნა! — განაცხადა სადგურის აღმი-
ნისტრაციამ.

(„რაბ. პრ.“).



უღარდელი გამგზავნელი
მღერის „შარი-შური მაქოს“
და ბაქოდან მოტანილ ნავთს
კვლავ უბრუნებს ისევ ბაქოს,
— საშიშია: უნაეტობით
გაცივდება ალბად ბაქო,
დააიჯერეთ! (პომლილი მაქეს
თავში ჩკუის, მასრა-მაქო)

„ჩ ი კ ი - ჩ ი კ ი , კ ა ნ ტ ო რ ჩ ი კ ი“


თფილისის რკ. გზ. საბარგო სად-
გურის საქონლის კანტორაში მუ-
შაობა 8 საათზე იწყება, მაგრამ სა-
ქონლის მიმღებნი და გამგზავნე-
ლები თავის დროზე არასოდეს არ
ცხადდებიან, რის გამოც საბარგო
სადგურის სხვა თანამშრომლები
და მტვრითავი მუშები მთელი სა-
ათობითა მოცდენილი არიან და
„დაშვებები“ უცდინან მთ მო-
სვლას.

(გაზეთებიდან).




დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე, — ჩივისთანაო,
არც ლალა-ძიძა გვეკრდება,
არც „ძილის პირი“, — ნანაო
განცხრომით ვწევართ ლოჯინში,
სიზმრებს ვნახულობთ თანაო.
უქმად იცდინა მუშები
კანტორის კარებთანაო
იდგენ, იცადონ, რა უშავთ, —
დიდი საქმეა განაო?
დედამ „დამკვრელი“ გაზარდოს,
— ემაგრე, ჩემისთანაო.

„ცხრას ზუთი“ მუხილელ პარიკატურები



— ქალაქში სიმუვილე, მოძრაობა აღდგენილია!



სასახლის გამშვენებერება გრძელდება.

3

კავშირთა თავისუფლება.



„პეშმარიტ რუსთა კავშირი“

უმადები კანდიდატი



თავმოკვეთილ მეფეთა გალერეია.

ერთი აგვისოს შესახებ



წერილი რედ. მიმართ

უფრ. „ტარტაროზი“-ს უკანასკნელ ნომერში (№ 48) მოთავსებულია წერილი „წარსულიდან“, რომლის მომქმედ პირად ავტორს გამოყვანილი ჰყავს მღვდელი მიხეილ. ვინაიდან მაშინ ხსენებულ ადგილზე მეციყავი მღვდლად, გთხოვთ განმარტოთ—წერილში აღნიშნული ბრალდებები მე შეეძებნება თუ—არა?

ყოფ. მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე

რედ. მიმართ: რედ. მიმართ აქვე ათავსებთ ავტორის საპასუხო წერილს („სიზმარი“) მოქ. მიხ. ბუაჩიძის მიმართ.

სიზმარი

წუხელი დიდან ვიბორავ, არ დამეძინა. ვიტორიულ შესაწავი გოჭოვით. ვფიქრობდი ხელაღწეული საარჩევნო კრებაზე. შეუღლები „რეზინათის“ გეგმების შედგენას, მაგრამ ვეღარ მოვაწყობი, ჩამეძინა. გაღვივდი სიზმარში: ვარ ჩემ მშობლიურ სოფელში. გარშემო წალკოტია. მჭკვდარე მინარეების ხმაურით ნანასავით მატკობს. მე მორცხვად გამოიყურება ღრუბლებიდან, საარჩევნო შეკრებილი ხალხი ბუზივით ირევა. ყოფილი ხალხი მოძრაობს. ერთმანეთს აქეთ-იქით იხმობენ, საბჭოს მუშაობის შესახებ, მოხსენების დათავაზების შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა:

— ვის სურს სიტყვა?

— მე მსურს ვილაპარაკო, ამხ. თავმჯდომარე, ზომები სიტყვის ნება! — მიმართა მას ჩვენი სოფლის ყოფილი მღვდელი.

— სიტყვა ეკუთვნის ამხ. მიხეილს. — განაცხადა თავმჯდომარემ.

შეხვედე; ჩვენი სოფლის ყოფილი მღვდელი გამოიტყა ტრიბუნაზე, დაუკვირებ ყურები კარდარდოვით. დაიწყო მიხეილმა მარა რა დაიწყო, ისე ტკბილად, როგორც ეკლესიაში ქადაგებდა ხოლმე. გამახსენდა მისი მომხიბლავი ხმა, გამახსენდა ბავშვობა, ქადაგება, სახარება, ჯვარი, ოლარი და სეფსკვერი.

— ჩემო სულიერ...: უკაცრავად, სულითა და გულით საყვარელი მეზობლებო. საბჭოები ეს ისეთი ორგანოებია, რომელზედაც დაპყრებულია ჩვენი ბედი და იღბალი. იქ ისე არ უნდა ეტყოს ადგილი კულაკებს, როგორც ჩემი მღვდლობის დროს სამოთხეში არ ვუსმებდით ცოდვილებს, საბჭოებში უნდა ავიჩიოთ საიმედო ბიჭები, მაგალითად მე გირჩევთ ერთად აირჩიოთ ჩვენი ასაკა, მართალია ნადიკენარი კაცია, მაგრამ რა ვუყოთ მერე, მე მღვდელიც შე ვიყავი, მაგრამ ესეა ხომ ხედავთ რა ერთგული ვარ მთავრობის.

— ერთი ამას შეხედეთ? ნამღვდლარიც აშენებას გვპირდება! — წასურთულა ერთმა გლეხმა მეორეს.

— ავლელი მეც. შემატყო მიხეილმა მღვდელმაც.

— რას მიპირავენ თვალმებს, გოახა ვსთქვი რამე თუ! — შემეკითხა გაცხარებული მიხეილი.

— თქვით ყველაფერი კარგი სთქვი, მაგრამ რომ მომკლა მიხეილ ვერ დაუჯერებ ნამღვდლმაც კაცს, ისე როგორც შენ არ გჯეროდა სოციალისტების მაშინ, როცა კისერზე უშველებელი ჯვარი გჭინდა ჩამოპორწიალებული.

— მე არ დამეჯერება? მე, რომელმაც რევოლუციის შემდეგ ყველაზე ადრე გაიძივრე ანადორო, წვერ-ულვაში ძირში მოვიბარსე, ქეთაისში სიტყვა წარმოვსთქვი— მიხეილი უცხად შეჩერდა და ცოტა ხნის შემდეგ აღვლევებული ჭილოთი მითხრა:

— ესეა კი მიხეილი!

— რას მიხედი, მიხეილ-ჯან?

— მიხედი, რომ უსათუოდ შენ დაგიწერია „ტარტაროზი“ ჩემს შესახებ; თუ ვაუკაცი ხარ სთქვი, შენ დასწერე თუ არა?

— დიახ, მე დავსწერე.

— მერე ეგ არის შენი სინდისი? როდის იყო, რომ მე ალიხანოვის დროს დრამა ორჯერ გადავხადეინე ხალხს, როდის ვაქციე კახაებში?

— იმდენ წელიწადს შენ იცოცხლე მიხეილ ჩემო, რამდენმა მღვდელმა ასეთი საქციელი ჩაიდინა იმ დროს.

— კი მარა, მე რამუაში ვარ; შე უღმერთო?

— შენ ისე მომხედი ხელში, რაღა, როგორც ჩვენი სოფლის ყოფილი მღვდელი.

— პირდაპირ მითხარი; ალიხანოვის დროს მე ორჯერ გადავხადეინე ხალხს დრამა ცხვრებით და ღორებით? მართლა მოვატყუილე ხალხი და ყაზახები ვაქციე?

— არა მეთქი, კაცო, გელაპარაკები, მაგრამ შენც რომ ძალიან გიყვარდა დრამა, სათბილო და პასკის თავები! ეს ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღე.

— არა, შენ „ნიანგი“ უნდა განაცხადო, რომ ის ბრალდება მე, ყოფილ მღვდელ მიხეილ ბუაჩიძეს არ შეხება, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!

— მე შენ გირჩევ ბევრს ნუ ფახაფუხობ, შენ არ ბრძანდებოდი, ვეუბატონო, რომ ხელმწიფის ლოცვა - კურთხევას თოფების ბათქა - ბუთქის დროსაც კი არ დაანებე თავი.

— მე დავამტკიცებ, რომ ბოლოს მანაც დავაბეგე.

— როცა მაგონდ შეგიფიქრებენ, ვამინ მეც ვიცი რომ დაანებე, მაგრამ ეს არ ჩაგეთვლება რევოლუციონერობათ.

— შენზე ნაკლები რევოლუციონერი კი შევარჯებინე! — შემომძახა მიხეილმა და წამოიწია მუშტებით. მუშტი მეც მოვუჭიე, მაგრამ ამ დროს გამომეღვიძა.

ისევ ის

„ს ა ა მ ა ყ ო“

ნახ. დონის



— რა დიდი ნასწავლი შევილი მყოლია ჩვენს სიმონს! ისეთი „რეჩი“ თქვა კრებაზე, რომ ვერავინმა ვერაფერი გაიგო.

სინულზე წიკა

ო.უზრგბითი. აღმასკომმა დაადგინა: „სა-მკითხველოს ახალი შენობა (13.000 მანეთი) და აბანო (65.000 მანეთი) მათი უფარდისობის გამო აღგვილ იქნან პირისპირა მიწისა და ხსენებული თანხები დაიწეროს ყინულზე, ხოლო ინუენერ ჩეხოვს გამოეცხადოს სასტიკი მადლობა. ბალი.

იოზიათი გოვლენა

სადგ. ნავთილუნი. დღეს 12 ს. რევიზორმა თვალი მოჰკრა სადღურის უფროსს დავილოვს, დააპირა მასთან მისვლა, მაგრამ დავილოვი უცხად სადღაც გაქრა ჩვეულებისამებრ.

შენიშვნა: დავილოვს თავისი თავი ცრუ დააკვრელად აქვს გამოცხადებული.

უპიტან-ო.ლ.ი.

„ხმლის ყოთობა“

ნარაზმინი, (უფუცილი მაზრა). მოკლე ხნის განმავლობაში ნოქარმა კირილე გრიგოლიმ დაწესებულ ფასებზე შედგენილი განდევნებით ოჯახი „ვერთაიულად“ მოაწყო. სასეირნოთ შეიძინა ცხენი და ველო-სიპედი.

იქმლანვე. დღევანდელ „ნაიანგი“ შემოთმთავსებულ დევნის წყაობებამ ისე გააბრაზა კირილე, რომ ერთ-ერთ წვერს საყვეო წინეკი თავზე გადაახია.

მხა. ზიჰუნა.

შუადება ზემინათისი

სამტრამილი. აღმასკომი შეუდგა წინასწარ მზადებას ზემინათისი, რომელიც მოეწყობა ქალაქის აბანოს შენობის დაწყების ხუთი წლის თავზე. ამ დღისათვის განზრახულია ორი აგური კიდე მოუმართონ დაწყებულ შენობას.

„ფუშტი“

ღამათაშითი სია

სო.ვ. ცანკი (ამბროლაურის რაიონი). სა-დუქნო კომისია შეუდგა დამატებითი სიის შედგენას. სიაში შეყვანილი იქნებია ის ნაცნობ - ნათესავები, რომლებიც გამოირჩნენ დეფიციტან საქონლის პირველ განაწილებას კომსომოლა.

წლიური ბრუნვა

ხრეითი (ჭიათურა). პენსიონერმა ეკა შეყრილიძემ მოიწია ფინანსიტი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ეკას მიერ პენსიაზე ბული ფულის გასესხებიდან შემოსულ პროცენტების წლიური ბრუნვა. აქ-პო.

თიხვის კახანია

ჯვარ-მესტინი (ზ-ხვანთი). ადგილობრივი ფოსტალიონი შეუდგა თესვას... წერილებსა და უფრანა-გაზეთებისა.

კაკო ჯ. შენიშვნა: ამხ. კაკოს ზემოთმოთავსებული დევნა, თითქოს ფოსტალიონი წერილებსა და გაზეთებს აწვედეს და კარგავდეს, როგორც დამატებით მიღებულ ცნობებიდან სჩანს, არ არის სწორი. წერილებსა და უფრანა-გაზეთებს იმიტომ აპწვეს გზაზე, რომ ადრესატებში გზებზე თვითონ იპოვონ თავიანთი წერილი თუ გაზეთი. ეს უფრო აადვილებს ფოსტალ მუშაობას, ასეთი რაციონალიზაცია და მოგონებისათვის ჯვარ-მესტიან ფოსტალიონი მადლობის ღირსია და არა საყვედურისი. ნიანგი.

იმაღის ბატრუბა

ბაქთი (გური). მუქარამ და დაშინებამ აქ უშველა ანთიმოჰ ქანთარის სამჭოთა არჩევნების დროს და გლეხობამ მოითხოვა მისი გადაყენება. ნათამჯდომარალი ახთი მოზ ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან და ნაცარში ბრახსაგან ბღღვირს ადებს.

ლმნოფა.

ნიანგის სამუშაო გეგმა

ტარ-რის (აქვე). კინო „დარბაზის“ შესახებ გვეწერს:
დარბაზში შეხვალ, სიცივისგან გაიყინები. სურათის ცდაში მუშაობას შესწევებს ტვინია. ალბად თქვენ ეს ლექსი კინო-„დარბაზში“ გაქვთ დაწერილი უმისა ტვინის გაყინვისას.
მრავალს (ზუგდიდი) თქვენი „წერილი“ სატრფოსადმი ასე თავდება:
მეტი რა გითხრა! განა არ კმარა? გინდ არ კმაროდეს, მაინც გაკმარებ. თუ არ გიყვარვარ, მითხარი ჩქარა, მერე სიყვარულს დავსამარებ. არ დაგაეჩივდეთ ამ ლექსის შიგ (სამარე-ში) ჩაყოლება. მანამდე კი ჩვენს გოდორში ინახება.

გუგულს (დარჩელი, ზუგდიდის რაიონი) თუ:
„სარეწკოაობის თავმჯდომარე არის კოლა ხარბი. ის ყველა წევრს ეჯავრება, არტელიდან გარბის“—სწორედ უჯარო გენერალის უფილა და რაღა აქვს საყყო-რა?!

ტ.ო.ს. მივიღეთ თქვენი შარადა და წავიკითხეთ ჩქარადა. ვისღა სცალია ამისთვის ირბინოს მთა და ბარადა, ოპორტუნისტი ახედაც იცვლება წარა-მარადა. რად გვინდა მასზე ასეთი, ის თვითონ არის შარადა. ეწრ. კ.-ლის თქვენი კოაპერატივის შე-სახებ სწერს:

მოსდის ერწოს კოაპერატივის შეკერილი და ფართალი; წარსულში არც კი ყოფილა ამდენი, რომ ვსთქვათ მართალი... სიმართლის თქმა კარგია, მაგრამ გადა-შალეთ „ნიანგი“-ს პირველი ნომრის მე-14-ე გვერდი და ოსმან-ალას წერილში ნახეთ შემდეგი სტრიქონები: „ეპო“-ში მოდის საკმაო შეკერილი და ფართალი.

წარსულში არც კი ყოფილა ამდენი, რომ ვსთქვათ, მართალი. ეხლა შეადარეთ „თქვენს“ სტრიქონებს ესენი და დასკვნაც თქვენ გამოიტანეთ. (თქვენი საყვედური იმის შესახებ, რომ — „პასუხს არ მაძლევთ ჟურნალში“-ო, დაკ-მაყოფილებულია).

მოკეთეს (ბორჯომი). რკინისგზელ ჰეი-შვილზე გვეწერს, რომ: მართალს ვამბობ, არ გვენათ მონაჭორი, ან არაკი: მოქალაქე აღიევას შეუტამა მან კარაკი. შეადგინა ყალბი ცნობა: „დასეთდა გზაზე მატლი; დამიჯერეთ ასე იყო, შემეწიოს ქრისტეს მადლი. და არც სტყუოს, როცა ამბობს—მატლი დაესიოს. (ალბად თავისი თავი ჰყავს მხე-დეგელობაში).

მოკვს. თავისს ცოლზე გვეწერს, რომ: წინედ იყო მშვენიერი, არვინ ჰყავდა ქვეყნად ცალი, დღეს კი ისე დამივლახდა, ხელში შემარჩა მხოლოდ ძვალი. ასეთ ლექსებს თუ უკითხავდით, აბა, რა მოუვიდოდა!

განმარტება: ჟურ. „ნიანგი“-ს № 1-ში მოთავსებული ცნობა: „სამი დღის წინედ ნოქრთიდან მოხსნილი გრიშა ისევ ალად-ჩინეს სამსახურში დომიტრი გურგენიძისთან ქვიფის მეორე დღეს“—გამოგზავნილია რა-ჭიდან, სოდ. ჭრებალოდან (იხ. „ნიანგი“ № 1, გვ. 15, ჩვენი პასუხი შანცს).

ნიანგი
ნიანგს
ნიანგი

როდის მუშაობს ზოგიერთ დაწესებულებებსავით უგეგმით და უყაირათოდ!?
აქვს თავისი საკუთარი წლიური სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია მის მიერ.
არც იმ დაწესებულებასა ჰგავს, რომელმაც შეად-გინა გეგმა, რაზედაც დაიცალა სამი ფუთი მელა-ნი და ათი ცარიელი თავი. მიუხედავად ამისა საწყალ გეგმას მაინც არ ეღირსა ცხოვრებაში გატარება.

და მიაგდეს იგი სადღაც როგორც ჩვარი უვარგისი. ისე გავა წელიწადი, — არავის აქვს ხსოვნა მისი.

ნიანგი

ასე როდი იქცევა! — შემუშავებული გეგმა გადაჭარბებით უნდა შეს-რულდეს! —
აი მისი მოწოდება თანამშრომლების მიმართ.

ნიანგი
ნიანგი

შექმნის ნამდვილ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალს, რომელსაც მისი სახელი ჰქვია „ნიანგი“
ქმნის ახალგაზრდა ძალების კადრს: აპიტომე
მწარლეების და მხატვრების,
რედაქციასთან დასრსებულია ხამასალინო წრემში:

იხ. განცხადება იმის შესახებ დადგინდელ ნომერში

ლიტერატურული და მხატვრული

ახალ ყოფას და ცხოვრებას შევქნით მხოლოდ ახალ ძალით პატრესა ცხცვით და მოვისმობთ — ძველსაც, ჩვენსკენ ვინც დავსაოთ.

ვიცით, გვეჭრა და გვწამს ყველას ჩვენი არის მომავალი. ჩვეუ ამისთვის ვეზხადებით, კარგათ ვიცით ჩვენი ვალი.

ნიანგი

ყოველთვიურად გამოუშვებს საეციალურ ნომ-რებს მიძღინარე საკითხებსა და კამპანიებზე.

ჩვენი ქვიყნის ორგულებსა და მტრებს, რო-გორც შინაურს ისე გარეშეს, არ დაინდობს

ნიანგი

მტერი და ორგული კი ჯერჯერობით ბევრია:

ყოველი ჯურის ოპორტუნისტი, ბიუროკრატი და მანგე სპეცი. კულაკი, მღვდელი, ქურიდი, მფლანგველი და კაპიტალის მრავალი მხეცი.

100

მასალა მოთავსდება (დაახლოებით) „ნიანგი“-ს ყოველ ნომერში

ნიანგი

ებრძვის უსაქმო მივლე-ნებსა და ზედმეტ ხარჯებს, მ ა ბ რ ა მ

ნიანგი

ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს თვეში სამჯერ შემოვივლის!

ნიანგი

დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა ძალებს, რომ-ლებსაც ემჩნევთ იუმორის ნიჭი და უნარი.

ნიანგი

ბრძანებს: ყოველ ოჯახში უნდა იყოს „ნიანგი“

ხელინსომოწმარ მიიღება ფოსტა-ტელეგრ, ყველა განყოფილებაში



მავრებრის რევოლუციისა

ნახ. ღმნის.

(ნხ. 1-ლი გვერდი)



რთნი